ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 470

“ 24 ” ოქტომბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის ხევი №11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.14.14.002.117 - ფართობი 539 კვ.მ; №01.14.14.002.164 - ფართობი 193 კვ.მ; №01.14.14.002.128 - ფართობი - 654 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 39^3 და 39^5 მუხლების და „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის ხევი №11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.14.14.002.117 - ფართობი 539 კვ.მ; №01.14.14.002.164 - ფართობი 193 კვ.მ; №01.14.14.002.128 - ფართობი - 654 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ოქტომბრის №25.1769.2011 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე - ქალაქი თბილისი, წყნეთის ხევი №11; წყნეთის გზატკეცილი, I ჩიხი, №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: №01.14.14.002.117 - ფართობი 539 კვ.მ; №01.14.14.002.164 - ფართობი 193 კვ.მ; №01.14.14.002.128 - ფართობი - 654 კვ.მ) მიმართებაში, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=5.0-მდე, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე 6 (ექვსი) მიწისზედა სართულის დამატებასა და 14 (თოთხმეტ) სართულიანი შენობის განთავსებას;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

2. დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე შემოსულობების №300773297 სახაზინო კოდზე, კერძოდ, ქალაქ თბილისში, წყნეთის ხევი №11-ში არსებულ 193.00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.14.14.002.164) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 395,071 (სამას ოთხმოცდათხუთმეტი ათას სამოცდათერთმეტი) ლარს, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი I ჩიხი №13-ში არსებულ 654.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.14.14.002.128) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,508,778 (ერთი მილიონ ხუთას რვა ათას შვიდას სამოცდათვრამეტი) ლარს, ხოლო ქალაქ თბილისში, წყნეთის ხევი №11-ში არსებულ 539.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. 01.14.14.002.117) კ-2 კოეფიციენტის 2.5-დან 5.0-მდე გადამეტების ფასი შეადგენს 1,103,333 (ერთი მილიონ ას სამი ათას სამას ოცდაცამეტი) ლარს.

3. დაინტერესებულმა პირმა ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ჩარიცხვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას.

4. ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

5. იმ შემთხვევაში, თუ ნაწარმოებია მშენებლობა, დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებელი იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე